მიიღეთ უკეთესი ფინანსური გადაწყვეტილებები

ტრენერის გზამკვლევი

EFSE
EUROPEAN FUND FOR SOUTHEAST EUROPE
DEVELOPMENT FACILITY
EU4Business
სიდა
ჩვენ ● ვაკავშირებთ
საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

როგორ გავაკეთოთ სწორი ფინანსური არჩევანი ჩვენი აგრობიზნესისთვის

ტრენინგ მოდული შედგენილია **საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით,** „ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის“ განვითარების პროგრამის **(EFSE DF)** მხარდაჭერითა და არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების სააგენტოს“ **(სიდა)** ჩართულობით.

ტრენინგის მიზანი

ტრენინგის მიზანია გაგაცნოთ პრაქტიკული სახელმძღვანელო ფერმერთათვის
„მიიღეთ უკეთესი ფინანსური გადაწყვეტილებები“

ტრენინგის დახმარებით თქვენ შეიტყობთ:

- როგორ შეარჩიოთ საფინანსო პროდუქტი;
- როგორ შეუდაროთ ერთმანეთს მათი პირობები;
- როგორ შეარჩიოთ მათ შორის საუკეთესო ვარიანტი;
- როგორ განსაზღვროთ, რა მოცულობის სესხიაყველაზე თანაზომიერი თქვენი ბიზნესისთვის.

ტრენინგი:

ტრენინგის ხანგრძლივობა

ბროშურა მომზადდა სოფლის მეურნეობის სფეროში მოღვაწე მიკრო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლების დასახმარებლად, რათა მათ მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა საფინანსო პროდუქტისა და დაფინანსების წყაროს შესახებ.



1. საკითხი-ფერმერობა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა

- ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ;
- ფულადი ნაკადების მოძრაობა;
- ოთხი ნაბიჯი უკეთესი ფინანსური გადაწყვეტილების მიღებამდე.

ფულადი ნაკადების მოძრაობა




ნაბიჯი 1: გადაწყვიტეთ, როგორ მოიძიებთ დაფინანსებას თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის
ნაბიჯი 2: შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები ბიზნესის განვითარების ვალდებულების სახით დაფინანსებისას
ნაბიჯი 3: შეარჩიეთ პირობები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას
ნაბიჯი 4: შეარჩიეთ სესხის ვალდებულების გადახდის ისეთი გრაფიკი, რომელიც თქვენს ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობას შეესაბამება

2. საკითხი-ნაბიჯი 1. გადაწყვიტეთ, როგორ მოიძიებთ დაფინანსებას თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის

რა ტიპის სესხი ან სასაქონლო კრედიტი გჭირდებათ?

2. საკითხი-ნაბიჯი 1. გადაწყვიტეთ, როგორ მოიძიებთ დაფინანსებას თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის

სესხის ტიპები:

- სესხი საბრუნავი კაპიტალის შესავსებად;
- სესხი ძირითადი საშუალებებისთვის;
- სესხი შერეული მიზნობრიობისთვის;

2. საკითხი-ნაბიჯი 1. გადაწყვიტეთ, როგორ მოიძიებთ დაფინანსებას თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის

სესხი საბრუნავი კაპიტალის შესავსებად ბიზნესს ისეთი შესყიდვების დასაფინანსებლად ესაჭიროება, როგორებიცაა:

- ნედლეული;
- სათესლე მასალა;

- საწვავი;
- სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების დაფარვა და ა. შ.

2. საკითხი-ნაბიჯი 1. გადაწყვიტეთ, როგორ მოიძიებთ დაფინანსებას თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის

სესხი ძირითადი საშუალებებისთვის ბიზნესს ისეთი ძირითადი საშუალებების შესაძენად ესაჭიროება, როგორებიცაა:

- მანქანა-დანადგარები, მათ შორის ტრაქტორი, კომბაინი
- მიწის ნაკვეთი;
- შენობა-ნაგებობა ან ნებისმიერი ქონება, რომელიც წარმოებაში გამოყენებულ იქნება რამდენიმე წლის განმავლობაში

2. საკითხი-ნაბიჯი 1. გადაწყვიტეთ, როგორ მოიძიებთ დაფინანსებას თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის

სესხი შერეული მიზნობრიობისთვის:

ბიზნესს ესაჭიროება მაშინ, როდესაც მისი განვითარებისთვის ერთდროულად აუცილებელია, როგორც საბრუნავი კაპიტალის, ისე ძირითადი საშუალებების დაფინანსება.

2. საკითხი-ნაბიჯი 1. გადაწყვიტეთ, როგორ მოიძიებთ დაფინანსებას თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის

ფერმერის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების უწყისი (საბალანსო უწყისი) ასახავს:

- ბიზნესის ფინანსურ მდგომარეობას კონკრეტულ მომენტში;
- რა აქტივებს ფლობს კომპანია;
- რამდენია მისი ვალდებულებები;
- რა მოცულობის კაპიტალი აქვს ბიზნესს კონკრეტული მომენტისთვის.

2. საკითხი-ნაბიჯი 1. გადაწყვიტეთ, როგორ მოიძიებთ დაფინანსებას თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის

საბალანსო უწყისის მთავარი განტოლება:

2. საკითხი-ნაბიჯი 1. გადაწყვიტეთ, როგორ მოიძიებთ დაფინანსებას თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის

რა არის აქტივი?

რესურსი, რომლის საფუძველზეც ბიზნესი ეკონომიკური სარგებლის მიღებას მოელის

2. საკითხი-ნაბიჯი 1. გადაწყვიტეთ, როგორ მოიძიებთ დაფინანსებას თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის

აქტივი მიმდინარედ მიიჩნევა, თუ იგი 12 თვმდე გამოიყენება.

- ფულადი სახსრები;
- მზა პროდუქცია;
- მარაგები;
- გაცემული ავანსები;
- დებიტორული დავალიანებები და სხვა.

აქტივი გრძელვადიანია, თუ იგი ბიზნესში ერთ წელზე მეტი ვადით გამოიყენება.

- შენობა-ნაგებობა;
- მანქანა-დანადგარები;
- მიწის ნაკვეთი;
- ავტომობილი;
- პატენტი, საავტორო უფლება, სასაქონლო ნიშანი, სახელწოდება და ა. შ

2. საკითხი-ნაბიჯი 1. გადაწყვიტეთ, როგორ მოიძიებთ დაფინანსებას თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის

რა არის ვალდებულებები?

ბიზნესის ისეთი ვალდებულებები, რომელთა დაფარვა ბიზნესიდან ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინებას გამოიწვევს.

2. საკითხი-ნაბიჯი 1. გადაწყვიტეთ, როგორ მოიძიებთ დაფინანსებას თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის

ვალდებულება მიმდინარედ მიიჩნევა, თუ მისი დაფარვა შესაძლებელია საბალანსო უწყისის შედგენიდან 12 თვემდე პერიოდის განმავლობაში.

- მოკლევადიანი სესხები;
- კრედიტორული დავალიანება (კონსიგნაციით მიღებული ნედლეული, პესტიციდები, სასუქები, საწვავი და სხვა);
- საგადასახადო ვალდებულებები და ა. შ.

ვალდებულება გრძელვადიანია, თუ მისი დაფარვის ვადა 12 თვეზე მეტია.

- გრძელვადიანი სესხი შენობის ან დანადგარის შესაძენად;
- ლიზინგი და სხვა;

2. საკითხი-ნაბიჯი 1. გადაწყვიტეთ, როგორ მოიძიებთ დაფინანსებას თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის

რა არის კაპიტალი?

აქტივების ის ნაწილი, რომელიც ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ რჩება.

კაპიტალი მოიცავს დამფუძნებლების შენატანს და გაუნაწილებელ მოგებას.

გაუნაწილებელი მოგება, როგორც წესი, მიმართულია წარმოების გაფართოებისა და გადაიარაღებისკენ.

საბალანსო უწყისის ნიმუში			
მიმდინარე აქტივები		**მიმდინარე ვალდებულებები**	
ნაღდი ფული	3 000	მომწოდებლების ვალი	1 000
ნედლეული (თესლი, პესტიციდები, სასუქები)	500	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული მოკლევადიანი სესხები	6 000
დებიტორული დავალიანება	5 000		
მარცვლეული	15 000	სხვა მიმდინარე ვალდებულებები	0
სულ მიმდინარე აქტივები	**23 500**	**სულ მიმდინარე ვალდებულებები**	**7 000**
გრძელვადიანი აქტივები		**გრძელვადიანი ვალდებულებები**	
მიწა	45 000	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული გრძელვადიანი სესხები	12 000
ტრაქტორი, კომბაინი და სხვა ტექნიკა	15 000	სხვა გრძელვადიანი ვალდებულება	10 000
შენობა-ნაგებობა	10 500	**სულ გრძელვადიანი ვალდებულებები**	**22 000**
სხვა აქტივი	0	**სულ ვალდებულებები**	**29 000**
		კაპიტალი	
		საკუთარი კაპიტალი	**65 000**
სულ გრძელვადიანი აქტივები	**70 500**	**სულ კაპიტალი**	**65 000**
მთლიანი აქტივები	**94 000**	**მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი**	**94 000**

სავარჯიშო „შეადგინეთ საბანსო უწყისი“

საბალანსო უწყისი			
მიმდინარე აქტივები:		მიმდინარე ვალდებულებები:	
სულ მიმდინარე აქტივები:		სულ მიმდინარე ვალდებულებები:	
გრძელვადიანი აქტივები:		გრძელვადიანი ვალდებულებები:	
		სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:	
		სულ ვალდებულებები	
		კაპიტალი:	
		საკუთარი კაპიტალი	
სულ გრძელვადიანი აქტივები:		სულ კაპიტალი:	
მთლიანი აქტივები:		მთლიანი ვალდებულებები დაკაპიტალი:	

საბალანსო უწყისი (პირველი მაგალითი)			
მიმდინარე აქტივები:		**მიმდინარე ვალდებულებები:**	
ნაღდი ფული	2 750	მომწოდებლების ვალი	23 000
პროდუქცია	8 000	მოკლევადიანი სესხები ფინანსური ორგანიზაციებიდან	14 000
დებიტორული დავალიანება	2 300		
მარაგები	50 000	სხვა მიმდინარე ვალდებულებები	0
სულ მიმდინარე აქტივები:	**63 050**	**სულ მიმდინარე ვალდებულებები:**	37 000
გრძელვადიანი აქტივები:		**გრძელვადიანი ვალდებულებები:**	
მიწა	30 000	გრძელვადიანი სესხები ფინანსური ორგანიზაციებიდან	85 000
ტრაქტორები, კომბაინები და სხვა ტექნიკა	120 000	სხვა გრძელვადიანი ვალდებულება	0
შენობა-ნაგებობა	75 000	**სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:**	**85 000**
სატრანსპორტო საშუალებები	12 000	**სულ ვალდებულებები**	**122 000**
		კაპიტალი:	
		საკუთარი კაპიტალი	178 050
სულ გრძელვადიანი აქტივები:	**237 000**	**სულ კაპიტალი:**	**178 050**
მთლიანი აქტივები:	**300 050**	**მთლიანი ვალდებულებები დაკაპიტალი:**	**300 050**

საბალანსო უწყისი (მეორე მაგალითი)			
მიმდინარე აქტივები:		**მიმდინარე ვალდებულებები:**	
ნაღდი ფული	4 200	მომწოდებლების ვალი	6 500
ნედლეული (თესლი, პესტიციდები, სასუქები, საწვავი)	9 500	მოკლევადიანი სესხები ფინანსური ორგანიზაციებიდან	
დებიტორული დავალიანება	2 500		
მარაგები (მარცვლეული)	93 000	სხვა მიმდინარე ვალდებულებები	0
სულ მიმდინარე აქტივები:	**109 200**	**სულ მიმდინარე ვალდებულებები:**	6 500
გრძელვადიანი აქტივები:		**გრძელვადიანი ვალდებულებები:**	
მიწა	150 000	გრძელვადიანი სესხები ფინანსური ორგანიზაციებიდან	150 000
ტრაქტორები, კომბაინები და სხვა ტექნიკა	225 000	სხვა გრძელვადიანი ვალდებულება	0
შენობა-ნაგებობა	20 000	**სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:**	150 000
სატრანსპორტო საშუალებები	15 000	**სულ ვალდებულებები**	156 500
დანადგარები	35 000	**კაპიტალი:**	
		საკუთარი კაპიტალი	397 700
სულ გრძელვადიანი აქტივები:	**445 000**	**სულ კაპიტალი:**	**397 700**
მთლიანი აქტივები:	**554 200**	**მთლიანი ვალდებულებები დაკაპიტალი:**	**554 200**

მოიფიქრეთ, როგორ მიიღოთ დაფინანსება თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის

პირველი, რაც საკუთარ თავს უნდა ჰკითხოთ: დაფინანსება საბრუნავი კაპიტალის გასაზრდელად მსურს თუ ძირითადი საშუალებების შესაძენად?

3. საკითხი-როდესაც საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება გჭირდებათ

დაფინანსების რომელი წყარო შეესაბამება თქვენი აგრობიზნესის საჭიროებებს ყველაზე მეტად?

- სასაქონლო კრედიტი

თუ

- ფინანსური ორგანიზაციისგან სესხის აღება

3. საკითხი-როდესაც საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება გჭირდებათ

თუ დაფინანსების მიზანი ნედლეულის ან სხვადასხვა სახარჯი მასალის შეძენაა, შეგიძლიათ აღნიშნული მასალები პირდაპირ თქვენი მომწოდებლისგან შეიძინოთ სასაქონლო კრედიტის სახით.

3. საკითხი-როდესაც საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება გჭირდებათ

სასაქონლო კრედიტით სარგებლობის უპირატესობები:

- მომსახურეობის გამარტივებული პროცედურა;
- უზრუნველყოფის გარეშე გაცემა;
- დამატებითი სარგებლის მიღების შესაძლებლობა.

3. საკითხი-როდესაც საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება გჭირდებათ

სასაქონლო კრედიტით სარგებლობის საყურადღებო საკითხები:

- ძვირია, ვიდრე ნაღდი ფულის გადახდისას;
- შესაძლებელია საწარმოო ხარჯების მხოლოდ ნაწილის დაფინანსება;
- დაფარვის ვადა უფრო მცირეა და ფერმერს მოკლე დროში მოუწევს სასაქონლო კრედიტის გადახდა.

3. საკითხი-როდესაც საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება გჭირდებათ

ფინანსური ორგანიზაციისგან სესხის აღება

- სესხის აღება, შესაძლებელია როგორც ფიქსირებული, ისე ცვლადი საპროცენტო განაკვეთით;
- სესხის დაფარვის მაქსიმალური ვადა, ძირითადად, 36 თვემდეა;
- გარდა ამისა, 200 000 ლარზე მეტი მოცულობის სესხი შეგიძლიათ აიღოთ უცხოური ვალუტითაც.

3. საკითხი-როდესაც საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება გჭირდებათ

სესხის უზრუნველყოფა, როგორც წესი, ხდება უძრავი ან მოძრავი ქონებით

- საცხოვრებელი ბინა;
- შენობა-ნაგებობა;
- მიწის ნაკვეთი;
- მანქანა-დანადგარი და სხვა.

3. საკითხი-როდესაც საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება გჭირდებათ

საბრუნავი კაპიტალის ბიზნესსესხით დაფინანსების უპირატესობები:

- ფასდაკლებები;
- შესაძლებელია სხვა სამეურნეო საჭიროებებისთვისაც გამოყენება;
- უფრო იაფია, ვიდრე სასაქონლო კრედიტით შეძენილი;
- 200 000 ლარამდე სესხის აღებისას სავალუტო რისკის არარსებობა;
- დაფარვის ვადა და გადახდის გრაფიკი მორგებულია ბიზნესის ციკლს.

3. საკითხი-როდესაც საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება გჭირდებათ

საბრუნავი კაპიტალის ბიზნესსესხით დაფინანსების საყურადღებო საკითხები:

- უზრუნველყოფა;
- შესაძლებელია შეთავაზებული სესხის მოცულობა საჭირო თანხაზე ნაკლები იყოს;
- სასესხო განაცხადის განხილვას სჭირდება დრო.

3. საკითხი-როდესაც საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება გჭირდებათ

საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებისთვის სესხის აღება ჯობია თუ
სასაქონლო კრედიტით სარგებლობა?

3. საკითხი-როდესაც საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება გჭირდებათ

ერთმანეთს შეუდარეთ ფულის წინასწარი გადახდისას მომწოდებლის მიერ შეთავაზებული შესაძლო ფასდაკლება და სესხის საპროცენტო ხარჯი.



3. საკითხი-როდესაც საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება გჭირდებათ

პრაქტიკული მაგალითი: სასაქონლო კრედიტი თუ სესხი საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად?

დაფინანსების შესაძლებლობა 1: სასაქონლო კრედიტით სარგებლობა საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად
სასაქონლო კრედიტით შეძენილი საქონლის ღირებულება – 40 000 ლარი.

დაფინანსების შესაძლებლობა 2: სესხის აღება საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად
საქონლის ღირებულება 10 %-იანი ფასდაკლებით – 36 000 ლარი;
სესხის მოცულობა – 36 000 ლარი;
საპროცენტო განაკვეთი – წლიური 12 %;
პროცენტის გადახდა – ყოველთვიურად;
საკომისიო – მთლიანი სესხის 2% (720 ლარი);
დაფარვის ვადა – 6 თვე.

სესხის ფულადი ნაკადების მოძრაობის გრაფიკი

თვე	**ხარჯის დასახელება**	**მოცულობა**
მარტი	სესხის გაცემის საკომისიო	720 ლარი
აპრილი	ყოველთვიური საპროცენტო ხარჯი	360 ლარი
მაისი	ყოველთვიური საპროცენტო ხარჯი	360 ლარი
ივნისი	ყოველთვიური საპროცენტო ხარჯი	360 ლარი
ივლისი	ყოველთვიური საპროცენტო ხარჯი	360 ლარი
აგვისტო	ყოველთვიური საპროცენტო ხარჯი	360 ლარი
სექტემბერი	სესხის მთლიანი დაფარვა და ყოველთვიური საპროცენტო ხარჯი	36 360 ლარი
ჯამი	**სესხის თანხა, ყოველთვიური საპროცენტო ხარჯი და საკომისიო**	**38 880 ლარი**

3. საკითხი-როდესაც საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება გჭირდებათ

საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებისთვის გამოყენებული სხვა ფინანსური პროდუქტებია:

3. საკითხი-როდესაც საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება გჭირდებათ

რა არის საბანკო გარანტია?

ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელსაც მსესხებელი წარუდგენს მომწოდებელს/დამკვეთს ან მომხმარებელს იმის დასტურად, რომ მის მიერ აღებული ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში დოკუმენტში მითითებულ თანხას ბანკი (გარანტი) გადაიხდის.

3. საკითხი-როდესაც საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება გჭირდებათ

რა არის ბიზნესოვერდრაფტი?

საკრედიტო პროდუქტი, რომელიც განკუთვნილია მოკლევადიანი საოპერაციო ხარჯებისა და სხვა მიმდინარე ვალდებულებების დასაფინანსებლად.

- ბიზნესოვერდრაფტი საშუალებას გაძლევთ კომპანიის ანგარიშიდან ფინანსურ ორგანიზაციასთან შეთანხმებული ლიმიტის ფარგლებში გახარჯოთ თანხა;
- ყოველთვიურად იხდით მხოლოდ გამოყენებულ თანხაზე დარიცხულ პროცენტს.

3. საკითხი-როდესაც საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება გჭირდებათ

სესხის აღება კერძო პირისგან შედარებით სწრაფად და მარტივადაა შესაძლებელი, თუმცა:

- უფრო ძვირია;
- უძრავი ქონებით ან ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფას ითხოვს;
- სესხები მოკლევადიანია და ბიზნესის საჭიროებებზე არ არის მორგებული;
- ბიზნესის გადახდისუნარიანობის შეფასება არ ხდება.

4. საკითხი - როდესაც ძირითადი საშუალებების დაფინანსება გჭირდებათ

- სესხის გადახდის პერიოდი, 84 თვემდეა;
- მისი მიღება შესაძლებელია როგორც ცვლადი, ისე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით.

- დაფინანსების წყაროა, ასევე, ლიზინგი, რომელიც ძირითადად ტექნიკის შეძენისას გამოიყენება.

4. საკითხი - როდესაც ძირითადი საშუალებების დაფინანსება გჭირდებათ

დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა 1:
ფინანსური ორგანიზაციისგან სესხის აღება

4. საკითხი - როდესაც ძირითადი საშუალებების დაფინანსება გჭირდებათ

ძირითადი საშუალებების ბიზნეზსესხით დაფინანსების უპირატესობები:

- დაფარვის ხანგრძლივი ვადები;
- ახალი და მეორეული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის შესაძლებლობა
- სესხის დაფარვის მოქნილი გრაფიკი და საშეღავათო პერიოდი;
- ბიზნესის განვითარების გეგმის სრულად დაფინანსების შესაძლებლობა;
- გათვალისწინებულია, როგორც აგრო, ასევე სხვა ბიზნესიდან მიღებულ თუ პირადი შემოსავალი.

4. საკითხი - როდესაც ძირითადი საშუალებების დაფინანსება გჭირდებათ

ძირითადი საშუალებების ბიზნესსესხით დაფინანსების საყურადღებო საკითხები:

- სესხის გაცემის ხანგრძლივი დრო;
- დამატებითი ხარჯები და გადასახადები;
- უზრუნველყოფის ან თავდებობის მოთხოვნა;

4. საკითხი - როდესაც ძირითადი საშუალებების დაფინანსება გჭირდებათ

დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა 2: სალიზინგო კომპანიისგან დაფინანსების მიღება

- ხშირად ფერმერები ტრაქტორს, კომბაინს, მანქანა-დანადგარს, მისაბმელსა და სხვა მსგავს ტექნიკას სალიზინგო კომპანიების დაფინანსებით ყიდულობენ.

4. საკითხი - როდესაც ძირითადი საშუალებების დაფინანსება გჭირდებათ

სალიზინგო მომსახურება ხელსაყრელია:

- თუ თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმა მხოლოდ ტექნიკის შეძენას ითვალისწინებს;
- დროში შეზღუდულები ხართ;
- სესხის ასაღებად საჭირო ვადა თქვენთვის ხელსაყრელი არ არის.

4. საკითხი - როდესაც ძირითადი საშუალებების დაფინანსება გჭირდებათ

როგორ ხდება სალიზინგო მომსახურების მიღება?

- არჩევთ ტექნიკას;
- უთანხმდებით სალიზინგო კომპანიას პირობებზე;
- თანამონაწილეობის გადახდის შემდგომ სალიზინგო კომპანია ტექნიკის გამყიდველს სრულად უხდის თანხას;



- სალიზინგო კომპანია აზღვევს ტექნიკას;
- იყენებთ ტექნიკას, ამავდროულად, სალიზინგო კომპანიას უხდით ლიზინგის თანხას;

4. საკითხი - როდესაც ძირითადი საშუალებების დაფინანსება გჭირდებათ

რა არის ლიზინგის ნარჩენი ღირებულება სალიზინგო ხელშეკრულებაში?

- ლიზინგის ნარჩენი ღირებულება არის ლიზინგის თანხის დარჩენილი ნაწილი, რომელიც ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის გამცემის მიმართ განხორციელებული გადახდების შემდეგ რჩება გადასახდელი.

4. საკითხი - როდესაც ძირითადი საშუალებების დაფინანსება გჭირდებათ

სალიზინგო კომპანიისგან მიღებული დაფინანსების უპირატესობები:

- მომსახურება საკმაოდ სწრაფია;
- ბევრ დოკუმენტს არ ითხოვენ;
- დამატებით უზრუნველყოფას არ მოითხოვენ;
- ტექნიკური ან საკონსულტაციო მომსახურების გაწევის შესაძლებლობა.

4. საკითხი - როდესაც ძირითადი საშუალებების დაფინანსება გჭირდებათ

სალიზინგო კომპანიისგან მიღებული დაფინანსების საყურადღებო საკითხები:

- ხშირად საჭიროებს დამატებით ხარჯებს;
- უფრო ძვირი დაფინანსების წყაროა;
- გადახდები ფულადი ნაკადების მოძრაობასთან შესაბამისად არ ხდება;
- თანამონაწილეობის თანხას მოითხოვს;
- არ იძლევა ტექნიკის უშუალოდ უცხოელი მომწოდებლისგან შეძენის შესაძლებლობას.

4. საკითხი - როდესაც ძირითადი საშუალებების დაფინანსება გჭირდებათ

დაფინანსების სხვა წყაროები

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს პროგრამები/პროექტები:

- „დანერგე მომავალი“;
- „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა“;
- „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა“;
- „შეღავათიანი აგროკრედიტი“;
- სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა – „ახალგაზრდა მეწარმე“;
- „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი“;
- „აგროდაზღვევა“;
- „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა“.

4. საკითხი - როდესაც ძირითადი საშუალებების დაფინანსება გჭირდებათ

დაფინანსების სხვა წყაროები

საერთაშორისო დონორების ჩართულობით სოფლის მეურნეობის სფეროში განხორციელებული პროექტები:

- „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას ევროპის სამეზობლო პროგრამა“ (ENPARD);
- NEO;
- EPI;
- REAP;
- ZRDA.

4. საკითხი - როდესაც ძირითადი საშუალებების დაფინანსება გჭირდებათ

აგროდაზღვევა

- ფერმერებს ეხმარება თავიანთი საქმიანობა და ფულადი ნაკადებ უფრო მეტად პროგნოზირებადი გახადონ.

- შეამცირონ გვალვის, სეტყვის, ყინვის და სხვა ბუნებრივი მოვლენებისგან მიყენებული ზარალი.

4. საკითხი - როდესაც ძირითადი საშუალებების დაფინანსება გჭირდებათ

სახელმწიფო აგროდაზღვევა

პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პოლისი ფარავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს:

- სეტყვა;
- წყალდიდობა;
- ქარიშხალი;
- საშემოდგომო ყინვა 1-ლი სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით.

4. საკითხი - როდესაც ძირითადი საშუალებების დაფინანსება გჭირდებათ

რა არის ფრანშიზა?

ზარალის ის მინიმალურ ზღვრულ ოდენობა, რომლის ზემოთაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დამზღვევი ანაზღაურების პასუხისმგებლობას იღებს.

5.საკითხი-ნაბიჯი 2. შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები ბიზნესის განვითარებისათვის დაფინანსების მოსაპოვებლად.

- სესხის მოცულობისა და თქვენი ბიზნესის გადახდისუნარიანობის განსასაზღვრად ბიზნესის ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი გამოიყენება.

5.საკითხი-ნაბიჯი 2. შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები ბიზნესის განვითარებისათვის დაფინანსების მოსაპოვებლად.

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი:

- მიუთითებს, ბიზნესის აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული საკუთარი კაპიტალით).
- ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი $= \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მთლიანი აქტივები}}$

5.საკითხი-ნაბიჯი 2. შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები ბიზნესის განვითარებისათვის დაფინანსების მოსაპოვებლად.

საკუთარი კაპიტალი:

- აქტივების ის ნაწილი, რომელიც ბიზნესს ყველა ვალდებულების, გასტუმრების შემდგომ რჩება;

- საკუთარი კაპიტალი = მთლიან აქტივებს - მთლიანი ვალდებულებები.

5.საკითხი-ნაბიჯი 2. შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები ბიზნესის განვითარებისათვის დაფინანსების მოსაპოვებლად.

- როდესაც ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი 30%-ზე ნაკლებია, ეს ნიშნავს, რომ ბიზნესის გასაფართოებლად დამატებითი სესხის აღება ზედმეტად სარისკოა.

- თქვენ შეგიძლიათ შეაფასოთ ვალდებულებების ის მაქსიმალური მოცულობა, რომლის ერთდროულად დაფარვის შესაძლებლობა აქვს თქვენს ბიზნესს.

პრაქტიკული მაგალითი:
ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტის განსაზღვრა

ფერმერს სურს ინვესტიციის განხორციელება ორი მიმართულებით:

- განავითაროს მერძევეობის ფერმა.
- ააშენოს ბეღელი.

საბალანსო უწყისი			
მიმდინარე აქტივები		**მიმდინარე ვალდებულებები**	
ნაღდი ფული	0	მომწოდებლების ვალი	45 000
ნედლეული (საწვავი, სასუქები)	1 600	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული მოკლევადიანი სესხები	0
მარცვლეული	50 000	სხვა მიმდინარე ვალდებულებები	0
სულ მიმდინარე აქტივები	**51 600**	**სულ მიმდინარე ვალდებულებები**	**45 000**
გრძელვადიანი აქტივები		**გრძელვადიანი ვალდებულებები**	
მიწა და სხვა საწარმოო აქტივები	25 000	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული გრძელვადიანი სესხები	0
ტრაქტორი	15 000	სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	50 000
მისაბმელი	3 500	**სულ გრძელვადიანი ვალდებულებები**	**50 000**
კომბაინი	60 000	**სულ ვალდებულებები**	**95 000**
		კაპიტალი	
		საკუთარი კაპიტალი	60 100
სულ გრძელვადიანი აქტივები	**103 500**	**სულ კაპიტალი**	**60 100**
მთლიანი აქტივები	**155 100**	**მთლიანი ვალდებულებები დაკაპიტალი**	**155 100**

საბალანსო უწყისის საფუძველზე ფერმერმა შეაფასა საკუთარი კაპიტალი, დაიანგარიშა ბიზნესის აქტივები და მათი თანაფარდობით განსაზღვრა ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი:

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი

$$\frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მთლიანი აქტივები}} = \frac{60\ 100}{155\ 100} \cdot 100 = 38{,}7\%$$

საბალანსო უწყისი			
მიმდინარე აქტივები		**მიმდინარე ვალდებულებები**	
ნაღდი ფული		მომწოდებლების ვალი	
ნედლეული (საწვავი, სასუქები)		ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული მოკლევადიანი სესხები	
მარცვლეული		სხვა მიმდინარე ვალდებულებები	
სულ მიმდინარე აქტივები		**სულ მიმდინარე ვალდებულებები**	
გრძელვადიანი აქტივები		**გრძელვადიანი ვალდებულებები**	
მიწა და სხვა საწარმოო აქტივები			
ტრაქტორი		სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	
მისაბმელი		**სულ გრძელვადიანი ვალდებულებები**	
კომბაინი		**სულ ვალდებულებები**	
		კაპიტალი	
		საკუთარი კაპიტალი	
სულ გრძელვადიანი აქტივები		**სულ კაპიტალი**	
მთლიანი აქტივები		**მთლიანი ვალდებულებები დაკაპიტალი**	

განსაზღვრეთ შეძლებს თუ არა ბიზნესსაქმიანობა სესხის გადახდას

- ბეღელის ასაშენებლად ფერმერს 40 000 ლარი ესაჭირეობა;
- რძის წარმოების დასაწყებად 55 000 ლარი სჭირდება.

გამოიანგარიშეთ ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი.

საბალანსო უწყისი*			
მიმდინარე აქტივები		**მიმდინარე ვალდებულებები**	
ნაღდი ფული	0	მომწოდებლების ვალი	45 000
ნედლეული (საწვავი, სასუქები)	1 600	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული მოკლევადიანი სესხები	0
მარცვლეული	50 000	სხვა მიმდინარე ვალდებულებები	0
სულ მიმდინარე აქტივები	**51 600**	**სულ მიმდინარე ვალდებულებები**	**45 000**
გრძელვადიანი აქტივები		**გრძელვადიანი ვალდებულებები**	
მიწა და სხვა საწარმოო აქტივები	25 000	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული გრძელვადიანი სესხები	95 000
ტრაქტორი	15 000	სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	50 000
მისაბმელი	3 500	**სულ გრძელვადიანი ვალდებულებები**	**145 000**
კომბაინი	60 000	**სულ ვალდებულებები**	**190 000**
ბეღელი	40 000	**კაპიტალი**	
მერძევეობის აღჭურვილობა და პირუტყვი	55 000	საკუთარი კაპიტალი	60 100
სულ გრძელვადიანი აქტივები	**198 500**	**სულ კაპიტალი**	**60 100**
სულ აქტივები	**250 100**	**სულ ვალდებულებები და კაპიტალი**	**250 100**

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი

$$\frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მთლიანი აქტივები}} = \frac{60\,100}{250\,100} \cdot 100 = 24\%$$

საბალანსო უწყისი			
მიმდინარე აქტივები		**მიმდინარე ვალდებულებები**	
ნაღდი ფული		მომწოდებლების ვალი	
ნედლეული (საწვავი, სასუქები)		ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული მოკლევადიანი სესხები	
მარცვლეული		სხვა მიმდინარე ვალდებულებები	
სულ მიმდინარე აქტივები		**სულ მიმდინარე ვალდებულებები**	
გრძელვადიანი აქტივები		**გრძელვადიანი ვალდებულებები**	
მიწა და სხვა საწარმოო აქტივები			
ტრაქტორი		სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	
მისაბმელი		**სულ გრძელვადიანი ვალდებულებები**	
კომბაინი		**სულ ვალდებულებები**	
		კაპიტალი	
		საკუთარი კაპიტალი	
სულ გრძელვადიანი აქტივები		**სულ კაპიტალი**	
მთლიანი აქტივები		**მთლიანი ვალდებულებები დაკაპიტალი**	

განსაზღვრეთ შეძლებს თუ არა ბიზნესსაქმიანობა სესხის გადახდას მხოლოდ 40 000 ლარის აღების შემთხვევაში

გამოიანგარიშეთ ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი.

საბალანსო უწყისი*			
მიმდინარე აქტივები		**მიმდინარე ვალდებულებები**	
ნაღდი ფული	0	მომწოდებლების ვალი	45 000
ნედლეული (საწვავი, სასუქები)	1 600	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული მოკლევადიანი სესხები	0
მარცვლეული	50 000	სხვა მიმდინარე ვალდებულებები	0
სულ მიმდინარე აქტივები	**51 600**	**სულ მიმდინარე ვალდებულებები**	**45 000**
გრძელვადიანი აქტივები		**გრძელვადიანი ვალდებულებები**	
მიწა და სხვა საწარმოო აქტივები	**25 000**	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული გრძელვადიანი სესხები	**40 000**
ტრაქტორი	**15 000**	სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	50 000
მისაბმელი	**3 500**	**სულ გრძელვადიანი ვალდებულებები**	**90 000**
კომბაინი	**60 000**	**სულ ვალდებულებები**	**135 000**
ბეღელი	**40 000**	**კაპიტალი**	
		საკუთარი კაპიტალი	**60 100**
სულ გრძელვადიანი აქტივები	**143 500**	**სულ კაპიტალი**	**60 100**
სულ აქტივები	**195 100**	**სულ ვალდებულებები და კაპიტალი**	**195 100**

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი

$$\frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მთლიანი აქტივები}} = \frac{60\ 100}{195\ 100} \cdot 100 \quad = 31\%$$

6. საკითხი-ნაბიჯი 3. შეარჩიეთ პირობები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას

- ბიზნეს სესხის ტიპები და მათი დაფარვის ვადები;
- საკრედიტო ხაზი;
- ვალუტის კურსის ცვლილების რისკი;
- საპროცენტო განაკვეთების ტიპები;
- ფიქსირებული და ინდექსირებული, ანუ ცვლადი საპროცენტო განაკვეთები;
- რას ნიშნავს ნომინალური და ეფექტური საპროცენტო განაკვეთები?

6. საკითხი-ნაბიჯი 3. შეარჩიეთ პირობები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას

შეუდარეთ სხვადასხვა ფინანსური ორგანიზაციის საფინანსო პროდუქტები და პირობები ერთმანეთს

მაგალითად:

- სესხის ვადა;
- საპროცენტო განაკვეთი;
- სესხის დამტკიცებისა და გაცემის საკომისიოები;
- დაზღვევის ტიპები და მათი ღირებულება.

6. საკითხი-ნაბიჯი 3. შეარჩიეთ პირობები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას

სესხები განსხვავდებიან მიზნობრიობის მიხედვით:

- სესხი საბრუნავი კაპიტალისთვის
- სესხი ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად
- სესხი შერეული მიზნობრიობისთვის



6. საკითხი-ნაბიჯი 3. შეარჩიეთ პირობები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას

საკრედიტო ხაზი:

- საკრედიტო პროდუქტია, რომელიც გამოიყენება საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად.
- ლიმიტის ფარგლებში შესაძლებელია თანხის შეუზღუდავად ათვისება და დაფარვა.
- ვადის ამოწურვისას დავალიანება სრულად უნდა იქნას დაფარული.

6. საკითხი-ნაბიჯი 3. შეარჩიეთ პირობები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას

ვალუტის კურსის ცვლილების რისკი

- თუ თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმა 200 000 ლარს აღემატება, შეგიძლიათ სესხი უცხოური ვალუტითაც აიღოთ.
- ეს რისკის შემცველი იქნება იმ შემთხვევაში, თუ თქვენი ბიზნესის ფულადი ნაკადები მხოლოდ ლარშია.

უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად იხილეთ
https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/efse/EFSE_broschure_geo.pdf

6. საკითხი-ნაბიჯი 3. შეარჩიეთ პირობები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას

ფინანსური ორგანიზაცია საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრისას:

- აფასებს ბიზნესის ფინანსურ სტაბილურობას;
- სწავლობს საკრედიტო ისტორიას;
- აფასებს შეთავაზებული უზრუნველყოფის ხარისხს;
- აფასებს თქვენს ურთიერთობას ფინანსურ ორგანიზაციებთან.

6. საკითხი-ნაბიჯი 3. შეარჩიეთ პირობები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას

რა ტიპის საპროცენტო განაკვეთები არსებობს?

- **ფიქსირებული** საპროცენტო განაკვეთი, რომელიც არ იცვლება სესხის მთელი ვადის განმავლობაში.

- **ინდექსირებული (ცვლადი)** საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გარკვეული წესით მიბმულია რომელიმე საჯარო ინდექსზე და რომლის ცვლილებაც აღნიშნული ინდექსის ცვლილებითაა გამოწვეული.

- სამივე ტიპის სესხს შეიძლება ქონდეს, როგორც ფიქსირებული, ისე ცვლადი საპროცენტო განაკვეთი

6. საკითხი-ნაბიჯი 3. შეარჩიეთ პირობები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის უპირატესობები და საყურადღებო საკითხები:

- უფრო მაღალია, ვიდრე ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი;
- შენატანები ერთი და იმავე მოცულობისაა მთელი ვადის განმავლობაში;
- თუ ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი შემცირდა, თქვენი ყოველთვიური შენატანი შეიძლება უფრო მეტი იყოს, ვიდრე ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში და პირიქით.

6. საკითხი-ნაბიჯი 3. შეარჩიეთ პირობები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას

ინდექსირებული, ანუ ცვლადი საპროცენტო განაკვეთის უპირატესობები და საყურადღებო საკითხები:

- საჯარო ინდექსზე მიბმული საპროცენტო განაკვეთი, უფრო დაბალია, ვიდრე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი;
- საჯარო ინდექსის შემცირების ან გაზრდის შემთხვევაში თქვენი სასესხო შენატანები შეიცვლება და შესაძლებელია სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული თანხა იყოს.

6. საკითხი-ნაბიჯი 3. შეარჩიეთ პირობები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას

ნომინალური საპროცენტი განაკვეთი

არის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც მითითებულია სასესხო ხელშეკრულებაში და ასახავს მხოლოდ სესხის ძირ თანხაზე დარიცხულ პროცენტს.

6. საკითხი-ნაბიჯი 3. შეარჩიეთ პირობები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი



არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გამოთვლისას გათვალისწინებულია სესხის აღებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და ამ ხარჯიების გაწევის პერიოდი.

მაგალითად:

- სესხის დამტკიცების საკომისიო;
- სესხის განაღდების საკომისიო;
- აუცილებელი დაზღვევის ხარჯები;
- სანოტარო ხარჯები და ა.შ.

7. რა უნდა გავითვალისწინოთ სესხის სხვადასხვა ალტერნატივების განხილვისას?

რჩევა 1.
ერთმანეთს შეუდარეთ ფინანსური ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული სესხების ეფექტური და არა მხოლოდ ნომინალური საპროცენტო განაკვეთები.

რჩევა 2.
სესხის გადახდის გრაფიკის შერჩევისას გაითვალისწინეთ, რომ სხვადასხვა გრაფიკით სესხის დაფარვა, როგორც წესი, განსხვავებულ საპროცენტო ხარჯსაც გულისხმობს.



რჩევა 3.
დაგეგმეთ და წინასწარ განსაზღვრეთ ბიზნესსესხის მიღების დრო, რათა იგი თქვენი ბიზნესის დაფინანსების საჭიროების პერიოდს დაემთხვას.

8. საკითხი-როგორ მოარგოთ სესხის ვადა ბიზნესში განხორციელებულ ინვესტიციას?

„საბრუნავი თანხების შემცირება”

როდესაც ძირითად საშუალებებს იძენთ საბრუნავი კაპიტალი ხარჯზე

არასასურველია ბიზნესისთვის, რადგან საბრუნავი თანხები ის თანხებია, რომლებმაც ბიზნესში უნდა იტრიალოს



8. საკითხი-როგორ მოარგოთ სესხის ვადა ბიზნესში განხორციელებულ ინვესტიციას?

საბრუნავი თანხების შემცირების ანალიზისთვის გამოიყენება მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი. იგი აჩვენებს მიმდინარე ვალდებულებებზე რა რაოდენობის მიმდინარე აქტივები მოდის.

$$\text{მიმდინარე ლიკვიდურობის აკოეფიციენტი} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

8. საკითხი-როგორ მოარგოთ სესხის ვადა ბიზნესში განხორციელებულ ინვესტიციას?

- თუ მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1-ზე ნაკლებია, ბიზნესსაქმიანობას შეიძლება საწარმოო ციკლის დაფინანსების კუთხით გარკვეული პრობლემები შეექმნას.
- თუ არსებული მოკლევადიანი რესურსები ისე ამოიწურება, რომ ფერმერი ვერ მოახერხებს მათ რეფინანსირებას, შესაძლებელია მას პრობლემა შეექმნას – ვერ მოიძიოს შემდგომი მოსავლის მოყვანისთვის საკმარისი თანხები.

საბალანსო უწყისი*			
მიმდინარე აქტივები		**მიმდინარე ვალდებულებები**	
ნაღდი ფული	3 000	მომწოდებლების ვალი	45 000
ნედლეული (საწვავი, სასუქები)	1 600	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული მოკლევადიანი სესხები	40 000
მარცვლეული	70 000	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	0
სულ მიმდინარე აქტივები	**74 600**	**სულ მიმდინარე ვალდებულებები**	**85 000**
გრძელვადიანი აქტივები		**გრძელვადიანი ვალდებულებები**	
მიწა და სხვა საწარმოო აქტივები	40 000	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული გრძელვადიანი სესხები	
ტრაქტორი	15 000	სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	50 000
მისაბმელი	3 500	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	50 000
კომბაინი	60 000	**სულ ვალდებულებები**	**135 000**
		კაპიტალი	
		საკუთარი კაპიტალი	58 100
სულ გრძელვადიანი აქტივები	**118 500**	**სულ კაპიტალი**	**58 100**
მთლიანი აქტივები	**193 100**	**მთლიანი ვალდებულებები დაკაპიტალი**	**193 100**

მაგალითი: საბალანსო უწყისის ნიმუში დაუბალანსებელი ვალდებულებებით

ფერმერმა მოკლევადიანი სესხით – 40 000 ლარით იყიდა მიწის ნაკვეთი.

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი

$$\frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} = 74\,600/85\,000 = 0{,}87$$

მისი ლიკვიდურობის კოეფიციენტი 0,87-ს გაუტოლდა.

საბალანსო უწყისი*			
მიმდინარე აქტივები		**მიმდინარე ვალდებულებები**	
ნაღდი ფული	3 000	მომწოდებლების ვალი	45 000
ნედლეული (საწვავი, სასუქები)	1 600	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული მოკლევადიანი სესხები	0
მარცვლეული	70 000	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	0
სულ მიმდინარე აქტივები	**74 600**	**სულ მიმდინარე ვალდებულებები**	45 000
გრძელვადიანი აქტივები		**გრძელვადიანი ვალდებულებები**	
მიწა და სხვა საწარმოო აქტივები	40 000	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული გრძელვადიანი სესხები	40 000
ტრაქტორი	15000	სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	50 000
მისაბმელი	3 500	**სულ გრძელვადიანი ვალდებულებები**	**90 000**
კომბაინი	60 000	**სულ ვალდებულებები**	**135 000**
		კაპიტალი	
		საკუთარი კაპიტალი	58 100
სულ გრძელვადიანი აქტივები	**118 500**	**სულ კაპიტალი**	**58 100**
მთლიანი აქტივები	**193 100**	**მთლიანი ვალდებულებები დაკაპიტალი**	**193 100**

მაგალითი: საბალანსო უწყისის ნიმუში დაუბალანსებელი ვალდებულებებით

ფერმერმა მოკლევადიანი სესხი ჩაანაცვლა გრძელვადიანი სესხით და იყიდა მიწის ნაკვეთი – 40 000 ლარად

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი

$$\frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} = 74\,600/45\,000 = 1{,}6$$

მისი ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1,6-ს გაუტოლდა.

8. საკითხი-როგორ მოარგოთ სესხის ვადა ბიზნესში განხორციელებულ ინვესტიციას?

შეეცადეთ, სესხის ტიპები და მათი დაფარვის ვადები თქვენს ბიზნესსაჭიროებებს შეუსაბამოთ.

- საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად აღებული სესხის დაფარვის ვადა შეუსაბამეთ ერთ საწარმოო ციკლს;
- ძირითადი საშუალების დააფინანსებლად აღებული სესხის დაფარვის ვადა – მისი გამოყენების სასიცოცხლო ციკლს.

9. საკითხი-ნაბიჯი 4 შეარჩიეთ ვალდებულების გადახდის ისეთი გრაფიკი, რომელიც თქვენს ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობას შეესაბამება

სესხის გადახდის გრაფიკის შეთანხმებისას ყურადსაღებია სამი ძირითადი ასპექტი:

- სასესხო შენატანების განრიგი;
- სასესხო შენატანები;
- ვალუტა.

9. საკითხი-ნაბიჯი 4 შეარჩიეთ ვალდებულების გადახდის ისეთი გრაფიკი, რომელიც თქვენს ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობას შეესაბამება

სასესხო შენატანების განრიგი

მნიშვნელოვანია, განრიგი ისე იყოს დაგეგმილი, რომ შეესაბამებოდეს თქვენს ბიზნესში ფულადი ნაკადების შემოდინების პერიოდს.

სასესხო შენატანები

მნიშვნელოვანია, ისე შეძლოთ შენატანების გადახდა, რომ მოსავლის რეალიზაციის შემდგომ გქონდეთ საკმარისი სახსრები, ვალდებულებების დასაფარავად და მომავალი წლის მოსავლის დასათესად.

ვალუტა

- წინასწარ განსაზღვრეთ დასაფინანსებელი ვალუტა.
- უმჯობესია, სესხის ვალუტა და თქვენს ბიზნესში ფულადი ნაკადების ვალუტა ერთი და იგივე იყოს

10. საკითხი-ინვესტიციები ენერგოეფექტიანობის გაზრდისა და ხარჯების შემცირებისთვის

- რაც უფრო მზარდია თქვენი ფერმერული მეურნეობა, მით უფრო მნიშვნელოვანია საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა და წარმოების ხარჯების შემცირება.

- აღნიშნული ეფექტიანობის ზრდის მისაღწევად სასურველია ენერგოეფექტიანი ინვესტიციების განხორციელება.

10. საკითხი-ინვესტიციები ენერგოეფექტიანობის გაზრდისა და ხარჯების შემცირებისთვის

ენერგოეფექტიანობის ინვესტიციები - ისეთი თანამედროვე ტექნიკის გამოყენება, რომელიც შედარებით ნაკლებ საწვავს მოიხმარს.

ინვესტიციების საბოლოო მიზანია - შეამციროს ენერგიის მოხმარება.

10. საკითხი-ინვესტიციები ენერგოეფექტიანობის გაზრდისა და ხარჯების შემცირებისთვის

მრავალფუნქციური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა – ტექნიკა, რომელიც რამდენიმე სახეობის მინდვრის სამუშაოს ერთდროულად ასრულებს.

10. საკითხი-ინვესტიციები ენერგოეფექტიანობის გაზრდისა და ხარჯების შემცირებისთვის

პრაქტიკული მაგალითი: მრავალფუნქციური სასოფლო-სამეურენო ტექნიკა

მინდვრის სამუშაოები	ტრადიციული დამუშავების მეთოდები	„ერთი გავლის პრინციპით“ მომუშავე ტექნიკის გამოყენება
საწვავის მოხმარება (ლ/ჰა)	58,4	34,9
ფერმის ფართობი (ჰა)	80	
სულ საწვავის მოხმარება (ლ)	4 672	2 792
დიზელის საშუალო ფასი (ლ)	2,5	
საწვავის წლიური ხარჯი (ლ)	11 680	6 980
წლიური ენერგიის დანაზოგი		4 700
ინვესტიციის ხარჯი	20 000	
ტექნიკაში გადახდილი თანხის უკუგების პერიოდი (წ)		4

- ფერმერი 80 ჰა/ მიწის ფართობს ოთხკორპუსიანი გუთნით, კულტივატორით, დისკებიანი ფარცხითა და სათესით 4-ჯერ უვლიდა.
- ენერგოეფექტიანი ინვესტიციის განხორციელებსი შემდგომ მას ახლა 2-ჯერ შემოუვლის.

11. საკითხი-პრაქტიკული ბიზნეს მაგალითი: ახალი ტრაქტორის შეძენა და ბეღელის აშენება

ნაბიჯი 1. გადაწყვიტეთ, როგორ მოიძიებთ დაფინანსებას თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის

- ტრაქტორი 100 000 ლარი;

- ბეღელი 120 000 ლარი;

11. საკითხი-პრაქტიკული ბიზნეს მაგალითი: ახალი ტრაქტორის შეძენა და ბელელის აშენება

	№ 1 ბანკის შეთავაზება	№ 2 ბანკის შეთავაზება
სესხის ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	ფიქსირებული 20%	ფიქსირებული 22%
სესხის ვადა	5 წელი	5 წელი
სესხის გაცემის საკომისიო	1%	1,5%
პროცენტის გადახდა	ყოველთვიურად	ყოველთვიურად
სესხის ძირი თანხის გადახდა	აგვისტოდან დეკემბრის ჩათვლით, წელიწადში 5-ჯერ	წელიწადში ერთხელ (დეკემბერში)
სესხის უზრუნველყოფა	უძრავი ქონება და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა	უძრავი ქონება და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა

	№ 1 ბანკის შეთავაზება	№ 2 ბანკის შეთავაზება
ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	22.5%	25,3 %
ყოველთვიური შენატანი	სესხის ძირ თანხას – 8 800 ლარს დამატებული საპროცენტო ხარჯი	სესხის ძირ თანხას – 44 000 ლარს დამატებული საპროცენტო ხარჯი
საშეღავათო პერიოდის განმავლობაში	მხოლოდ საპროცენტო ხარჯი	მხოლოდ საპროცენტო ხარჯი
5 წლის განმავლობაში გადასახდელი მთლიანი თანხა	341 006 ლარი	361 169 ლარი

საბალანსო უწყისი*			
მიმდინარე აქტივები		**მიმდინარე ვალდებულებები**	
ნაღდი ფული	40 000	მომწოდებლების ვალი	124 000
ნედლეული (თესლი, სასუქები)	84 000	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული მოკლევადიანი სესხები	230 000
დათესილი მარცვლეული	490 000	სხვა მიმდინარე ვალდებულებები	0
სულ მიმდინარე აქტივები	**614 000**	**სულ მიმდინარე ვალდებულებები**	**354 000**
გრძელვადიანი აქტივები		**გრძელვადიანი ვალდებულებები**	
მიწა და სხვა საწარმოო აქტივები	66 000	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული გრძელვადიანი სესხები	130 000
ტრაქტორი, კომბაინი და სხვა ტექნიკა	580 000	სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	46 000
		სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	176 000
		სულ ვალდებულებები	530 000
		კაპიტალი	
		საკუთარი კაპიტალი	730 000
სულ გრძელვადიანი აქტივები	**646 000**	**სულ კაპიტალი**	**730 000**
მთლიანი აქტივები	**1 260 000**	**მთლიანი ვალდებულებები დაკაპიტალი**	**1 260 000**

ნაბიჯი 2. შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები ბიზნესის განვითარებისათვის დაფინანსების მოსაპოვებლად.

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი

$$\frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მთლიანი აქტივები}} = \frac{730\,000}{1\,260\,000} \cdot 100 = 58\%$$

მოსალოდნელი საბალანსო უწყისი			
მიმდინარე აქტივები		**მიმდინარე ვალდებულებები**	
ნაღდი ფული	40 000	მომწოდებლების ვალი	124 000
ნედლეული (თესლი, სასუქები)	84 000	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული მოკლევადიანი სესხები	230 000
დათესილი მარცვლეული	490 000	სხვა მიმდინარე ვალდებულებები	0
სულ მიმდინარე აქტივები	**614 000**	**სულ მიმდინარე ვალდებულებები**	**354 000**
გრძელვადიანი აქტივები		**გრძელვადიანი ვალდებულებები**	
მიწა და სხვა საწარმოო აქტივები	66 000	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული გრძელვადიანი სესხები	350 000
ტრაქტორი, კომბაინი და სხვა ტექნიკა	680 000	სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	46 000
ბეღელი	120 000	**სულ გრძელვადიანი ვალდებულებები**	**396 000**
		სულ ვალდებულებები	**750 000**
		კაპიტალი	
		საკუთარი კაპიტალი	730 000
სულ გრძელვადიანი აქტივები	**866 000**	**სულ კაპიტალი**	**730 000**
მთლიანი აქტივები	**1 480 000**	**მთლიანი ვალდებულებები დაკაპიტალი**	**1 480 000**

220 000 ლარის მოცულობის სესხის აღების შემთხვევაში მისი ბიზნესის მოსალოდნელი ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი

$$\frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მთლიანი აქტივები}} = \frac{730\,000}{1\,480\,000}100 \quad = 49\%$$

ნაბიჯი 3. შეარჩიეთ პირობები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას

საპროცენტი განაკვეთი, დაფარვის ვადა და სესხის ღირებულება:

	ბანკი № 1	ბანკი №2
გადახდის გრაფიკი	X	√
		ფერმერისთვის უფრო მნიშვნელოვანია სესხის გადახდის ისეთი გრაფიკის არჩევა, რომელიც საშუალებას მისცემს, მარცვლეული გაყიდოს იმ პერიოდში, როდესაც მარცვლეულის ფასი მაღალია

ნაბიჯი 3. შეარჩიეთ პირობები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას

- ბიზნესის მიმდინარე ვალდებულებები - 354 000 ლარი;
- მიმდინარე აქტივები - 614 000 ლარი;

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი

$$\frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} = 614\,000 / 354\,000 = 1{,}73$$

ნაბიჯი 3. შეარჩიეთ პირობები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას

	N1 ბანკი	N2 ბანკი
ერთი ტონა მარცვლეულის ფასი	სეზონზე x	არასეზონზე (დეკემბერი) 200 ლარით მეტი
სესხის ძირის დასაფარად სარეალიზაციო მარცვლეულის მოცულობა	40 ტონა	40 ტონა
მარცვლეულის რეალიზაცია	სეზონზე x	არასეზონზე (დეკემბერი) 8 000 ლარით მეტი
შემოსავალი სესხის მთლიან ვადაზე (5 წელი)	x	40 000 ლარით მეტი
სხვაობა ბანკების შემოთავაზებებს შორის (5 წლის განმავლობაში)	-20 163 ლარი	
მოგება N1 და N2 ბანკების შემოთავაზებებსა და რეალიზაციას შორის		+19 837 ლარი

ნაბიჯი 4. შეარჩიეთ ვალდებულების გადახდის ისეთი გრაფიკი, რომელიც თქვენს ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობას შეესაბამება

<table>
<tr><td>გასული წლის ფულადი შემოდინებები</td><td>85 000 ლარი</td><td rowspan="2">ფერმერს თავისუფლად შეუძლია დაფაროს სესხი და, ამასთანავე, ჰქონდეს გარკვეული თანხა გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მიმდინარე წელს.</td></tr>
<tr><td>პირველი წლის დეკემბერში შენატანი თანხის ოდენობა</td><td>47 978,1 ლარი</td></tr>
</table>

ნაბიჯი 4. შეარჩიეთ ვალდებულების გადახდის ისეთი გრაფიკი, რომელიც თქვენს ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობას შეესაბამება

	$/€	₾
ვალუტა	X	√
სესხის თანხა 200 000 ლარზე მეტია და ფერმერს შეუძლია სესხი უცხოური ვალუტით აიღოს		ბიზნესში მოძრავი ფულადი ნაკადები მხოლოდ ეროვნულ ვალუტაშია და სესხის სხვა ვალუტით აღების შემთხვევაში შესაძლოა წარმოეშვას კურსთაშორისი სხვაობის რისკი

საბოლოო შედეგი

№ 2 ბანკიდან აღებული სესხი	220 000 ლარი
სესხის ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	ფიქსირებული 22%
სესხის ვადა	5 წელი
სესხის გაცემის საკომისიო	1,5%
ეფექტურ საპროცენტო განაკვეთი	25,3%
პროცენტის გადახდა	ყოველთვიურად
სესხის ძირი თანხის გადახდა	წელიწადში ერთხელ (დეკემბერში)
სესხის უზრუნველყოფა	უძრავი ქონება და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა
5 წლის განმავლობაში დასაბრუნებელი მთლიანი თანხა	361 169 ლარი

12. საკითხი-მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობა

- ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობისას თქვენ გაქვთ უფლებები და პასუხისმგებლობები;

- არსებობს „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი“;

12. საკითხი-მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობა

- თქვენი პასუხისმგებლობა გაწერილი იქნება თქვენსა და ფინანსურ ორგანიზაციას შორის დადებულ სასესხო ხელშეკრულებაში.

- თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ ხელშეკრულების ასლი ზუსტად იმ პირობებით, რა პირობებითაც საბოლოოდ გაფორმდება ხელშეკრულება და, საჭიროების შემთხვევაში, წაიღოთ სახლში ან განიხილოთ იურისტთან ერთად

12. საკითხი-მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობა

ვის შეგიძლიათ მიმართოთ, თუ ფინანსური ორგანიზაციის მიმართ პრეტენზია გაქვთ?

- ფინანსურ ორგანიზაციას, წერილობით, ან ელექტრონულად;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილებას.

13. საკითხი-არ დაგავიწყდეთ, იკითხოთ:

- შეუძლია თუ არა ფინანსურ ორგანიზაციას, სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის შემომთავაზოს სხვადასხვა საფინანსო პროდუქტი?
- რამდენად გასაგებად ამიხსნის სხვადასხვა საფინანსო პროდუქტის მიზნებს, უპირატესობებს და ხარჯებს?
- რა კრიტერიუმებს იყენებს ფინანსური ორგანიზაცია ჩემი ბიზნესისთვის კონკრეტული საფინანსო პროდუქტის შეთავაზების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას?
- ფინანსური ორგანიზაცია რამდენად სიღრმისეულად აფასებს რისკებს?
- რომელი საფინანსო პროდუქტ(ებ)ი შეესაბამება ჩემს ბიზნესს?
- ჩემი მომსახურე ფინანსური ორგანიზაციის წინადადება უკეთესია თუ სხვა ფინანსური ორგანიზაციების შეთავაზებები?

13. საკითხი-არ დაგავიწყდეთ, იკითხოთ:

- შევისწავლე თუ არა დაფინანსების ყველა შესაძლებლობა ჩემი ბიზნესის განვითარების გეგმის განსახორციელებლად?
- რა საკომისიოები ახლავს თან სესხის აღებას?
- საჭიროების შემთხვევაში შემიძლია თუ არა ფინანსურ ინსტიტუტს წარვუდგინო პრეტენზია და რა ვადაში მოხდება ჩემი პრეტენზიის განხილვა?
- ჩემი ბიზნესის განვითარების გეგმის დაფინანსებისთვის არსებობს თუ არა სესხები ფიქსირებული ან ცვლადი საპროცენტო განაკვეთებით?
- რამდენია სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი?
- სესხის გადახდის ვადა შეესაბამება თუ არა ჩემს ინვესტიციაზე უკუგების ვადას?
- მთავაზობს თუ არა ჩემი პარტნიორი ფინანსური ორგანიზაცია სესხის გადახდის ისეთ გრაფიკს, რომელიც ჩემს ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობას შეესაბამება?

14. საკითხი-სასარგებლო ბმულები

www.nbg.gov.ge – საქართველოს ეროვნული ბანკი;

https://www.nbg.gov.ge/index.php?m=403 – საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებების ჩამონათვალი;

https://www.nbg.gov.ge/index.php?m=529 – საქართველოში რეგისტრირებული არასაბანკო დაწესებულებების ჩამონათვალი.

www.nbg.gov.ge/cp – საქართველოს ეროვნული ბანკის მომხმარებლის ვებგვერდი;

www.nbg.gov.ge/index.php?m=706&lng=geo „მიკრო- და მცირე ბიზნესის სახელმძღვანელო: ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება“; სესხის კალკულატორი; ფინანსური უწყისების შაბლონები: მოგება-ზარალის, საბალანსო და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისები;

www.nbg.gov.ge/cp/uploads/efse/EFSE_broschure_georgia_web.pdf – საქართველოს ეროვნული ბანკისა და EFSE DF-ის მიერ მომზადებული პრაქტიკული სახელმძღვანელო მცირე ბიზნესისთვის „მიიღეთ უკეთესი ფინანსური გადაწყვეტილებები“ და ამ სახელმძღვანელოს თანამდევი პრაქტიკული მოდელები;

http://enpard.ge/ge/ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა

http://www.fao.org/georgia – გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია;

https://ge.usembassy.gov/education-culture/grant-programs/reap/ – ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „REAP“

http://zrda.georgianeo.ge/index.php/ka/ – ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „ზრდა“;

http://act-impact.com/en/niqasnfiudskbj/55-usaid-economic-prosperity-initiative-epi-40-mln-project –

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „EPI“

https://www.chemonics.com/projects/building-economic-opportunities-georgia/ – ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „NEO“

http://arda.gov.ge/ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო;

http://arda.gov.ge/projects/read/agroinsurance/4:parent - *სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს აგროდაზღვევის პროექტი;*

გმადლობ
ყურადღებისთვის